

III

დალამდა. ალუდას დედა და დები ვახშამს სთავაზობენ, მაგრამ ის უარზეა; დედას უმხელს, რომ ცუდმა სიზმარმა დაუმძიმა გული. წინა ღამეს ალუდას ესიზმრა, რომ სადაც ქელებში იყო და მიცვალებულს გლოვობდა. მოულოდნელად მას ვიდაცამ ხელში ხანჯლის ტარი ჩაუდო. ეს იყო ჯაჭვის პერანგში ჩაცმული მუცალი, რომელსაც ნატყვიარზე ბალახი ჰქონდა დაფენილი. ალუდას თქმით, სიზმრად გამოცხადებულმა მუცალმა ამ სიტყვებით მიმართა მას:

“მინდასიკვდილი, არგვკდები,

მამკალო, მითხრახვეწნითა.

თქვენდაგრჩესწუთისოფელი,

მეკიწავიდექვეყნითა,

დაძელით, ხევსურთშვილებო,

ლაშქრობით, ხმლებისქნევითა”.

დავჯე, ჯამვინამდამიდგა,

კაცისხორციოწვნიანი,

ვქამდი, მზარავდათუმცალა

კაცისხელ-ფეხიძვლიანი.

რასავსჩადიო, ვსჯავრობდი,

უმსგავსი, შაჩვენებული.

“ქამეო, რამამძიძახა,

ნუჰხდებიგამტერებული:

კიდევმიმირთვითალუდას

წვენ-ხორციგაცხელებული”.

მიმატესკაცისულვაშით

წვენ-ხორციშანელებული...

სიზმართდამტანჯეს, იმითვარ

გუნება-აღელვებული.

IV

გათენებისას შატილში მინდია დაბრუნდა. ალუდას სიმართლის დასადასტურებლად მან მუცალის მოჭრილი მარჯვენა აჩვენა თანასოფლელებს და საყვედურით მიმართა ახალგაზრდებს:

- ახლებო, სისხლიგიფუისთ⁸⁶,

სჭრითადაჰკერავთგულითა,

გულსათრევენებთგონებას,

თავსაჭრეინებთცულითა,

⁸⁶სისხლი გიფუისთ - სისხლი გიდულთ.

ადვილვერიცნობთვაჟკაცსა
მისვაჟკაცურისრჯულითა!
ერთურთსნუდააჩაგვრინებთ,
გული-დგონება⁸⁷ძმანია.
მართალიარიალუდა,
თავსარდამექცნენცანია!
თუარაგჯერათ, ქისტისა,
აი, მოჭრილიმკლავია.
ენაქარქაშშიგეჭიროსთ,
ადვილნუიტყვითსიტყვასა,
ადვილნუიტყვითვაჟკაცზე,
არავარგაო, იმასა!
ხელიალუდასმართვის:
- წაიდ, მიაკარქავადა!

⁸⁷გული-დ გონება - გული და გონება.

- თუხელისმოჭრამდომიყო,
განვერმოვსჭრიდითავადა?
ვერგიქნავკარგად, მინდიავ,
საქმემოგირთავავადა;
რაადმინდარის⁸⁸, ვერმიხმლობს,
არგამოდგებაფარადა;
მთაშიწავილო, არმითიბს,
არცმარგებსთივისკავადა⁸⁹.
წაილე, თუგწამუფალი,
ნულარმაჩვენებთვალითა.
კაისყმისმარჯვენაარი,
გულიმეწვებაბრალითა.
რაადსწყრებიანხევსურნი,

⁸⁸რაად მინდარის - რად მინდა?

⁸⁹თივის კავი - ხის ჯოხი, რომელსაც თოკს აბამდნენ თივის შესაკრავად.

რადატყვრებიან⁹⁰ჯავრითა?!

მტერსმოვკლავ, კიდევარმოვსჭრი

მარჯვენასმაგათჯაბრითა⁹¹!

“წესიარარისმტრისმოკვლა,

თუხელარმასჭერდანიითა”.

ვაი,ეგეთასსამართალს,

მონათლულსცოდვა-ბრალიითა!

V

ჟამიმოვიდასაუფლო⁹².

ხალხიხატობასდიოდა:

უნდააცნობონხატონსა⁹³

ვისაც-კირამასტკიოდა.

მოქუჩდაქალიდაკაცი

⁹⁰ტყვრებიან - სკდებიან.

⁹¹ჯაბრი - ჯიბრი.

⁹²საუფლო ჟამი - ხატობის დრო.

⁹³ხატონი - ხატი. ფშავ-ხევსურები თავიანთ თავს ხატის, ანუ ხატონის ყმებად მიიჩნევდნენ.

სახვეწრით⁹⁴ცხვრითდახართა;

მართმევდიანბატონსა

სახვეწარსბელის⁹⁵კართა.

ესვინლამოდგანისლივით,

თითბრითნაზიკისხმალითა⁹⁶?

ხევისბერსაძლევსმოზვერსა,

დადგადახრილისთავითა.

- ვისამწყალობებ⁹⁷, ალუდავ,

ამაკურატი⁹⁸შავითა? -

ჰკითხავსალუდასხუცესი

გადაწეულისმკლავითა.

დიდიაჩვენიბატონი -

⁹⁴სახვეწარი - ხატისთვის მირთმეული ძღვენი.

⁹⁵ბელელი - შენობა ხატში, სადაც ინახება ხატის ლუდი და პური.

⁹⁶ნაზიკი - ვერცხლით ან თითბრით მორთული. თითბრითნაზიკისხმალითა - თითბრით მორთული ხმლით.

⁹⁷ამწყალობებს - ხატს წყალობას სთხოვს ვინმესთვის; ხატის სახელით ლოცავს ვინმეს.

⁹⁸კურატი - მსხვერპლად შესაწირი ხარი.

გუდანისჯვართავითა,
საყმონიკლიერნიჰყვანან,
ღვთითადაღვთისაძალითა.

კარგიყმაუყვარსბატონსა,

წყალობაემეტებისა;

ვაჟკაციიმედიანნი⁹⁹

ჩვენსბატონსებედებისა.

მითხარსახელი, ვისწირავ,

იმასამცშაეწირება.

ხანჯარსაიძრობს, დიდების¹⁰⁰

სათქმელადდაელირება¹⁰¹.

- ეგსამხვეწროა, ბერდიავ,

ძოღან¹⁰²მოკლულისქისტისა.

⁹⁹იმედიანი - აქ: საიმედო.

¹⁰⁰დიდება - ხევსბერის მიერ წარმოთქმული ლოცვა ხატობაზე მსხვერპლშეწირვის დროს.

¹⁰¹სათქმელად დაელირება - თქმას დააპირებს.

¹⁰²ძოღან - ამას წინათ.

მუცალსეტყოდენსახელად,
მაუნათლავისშვილისა.
კარგადაცდამიწყალობნე,
გამიმეტებავმისთვინა,
როგორცუნდომლადმოკლულის
თავისლამაზისძმისთვინა.
- გაურჯულებულსარჯულებ,
შენეგარშაგიხდებისა¹⁰³,
ქისტისადსაკლავისდაკვლა
კარგადარმოგიხდებისა.
მამითარმოდისანდერძი,
პაპითდაპაპის-პაპითა,
გონთმოდი, ქრისტიანიხარ,
ურჯულოვდებიმაგითა;

¹⁰³არ შაგიხდებისა - არ გკადრება, არ შეგეფერება.

ემაკსნუმისდევ... ეგსიტყვა
როგორამოგცდაბაგითა?!
რამდენსხვამაჰკალ, შენსქავზე
ხელეზღრდესავით¹⁰⁴ჰკიდია.
ზოგილეკისა, სხვაქისტის,
მარჯვენეებისხიდია;
ციკანიცარვისდაუკალ,
განლამცურატიდიდია.
როგორვახვეწოუფალსა
ძალი, ძალებისჯიშისა,
მანამსჯობს, ცანიდამექცნენ,
ზურგიგამისკდესმიწისა,
ანთუზღვამდამნთქასუძირომ,
სადილივსჭამოქვიშისა!

¹⁰⁴ჯღრდე - ერთმანეთში არეული, მიხერგილი.

ფერიედეზაბერდიას,
ფერისხვა-რიგისშიშისა.
- ზღვენსა¹⁰⁵ნუგამიმსუბუქებ,
მადლითუგწყალობსღვთისაო,
ყმავარმეცგუდანისჯვრისა,
ხევსურიტქვენისწყლისაო,
მითომერთნივართ, ბერდიავ,
მცხოვრებნიერთისმთისაო.
- ტყუილადსცდები, ალუდავ,
ტყუილადიცვეთპირსაო.
გაჯავრდაქეთელაური,
ფერიდაიდვამგლისაო;
ხელიდაიკრაფრანგულსა,
შუქიამოხდამზისაო.

¹⁰⁵ზღვენი - ხატისთვის მირთმეული შესაწირავი, ძღვენი.

უქნივამოზვერსქედზედა,

თავიმიგორავსძირსაო.

თანშაეხვეწაბატონსა:

ნუშამიცოდებშვილსაო,

აღლადაჰქონდეს¹⁰⁶მუცალსა,

მაგმოუნათლავემირსაო.

ბერდიაჯაგარაშლილი

ხალხისკენიზამსპირსაო.

- გაგონილაა, - იძახდა, -

ასრეაგდებარჯულისა:

საკლავსთვითონჰკლავსალუდა¹⁰⁷,

მამხსენექისტისსულისა,

ხალხო, მინდარისგავიგო

¹⁰⁶აღლადა ჰქონდეს - ალალი იყოს.

¹⁰⁷საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა - თემის ადათ-წესის თანახმად, მხოლოდ ხევისბერს შეეძლო ხატობაზე შესაწირი საქონლის დაკვლა.

პასუხითქვენისგულისა.

დაჯარდით¹⁰⁸, ხევსურთშვილებო,

ყველანი - დიდნი, მცირენი, -

სამართალივქნათ, ვუმტვრიოთ

ალუდასსახლისდირენი¹⁰⁹;

ნუდაინანებთ, ექმნენით

ცოლ-შვილისამატირენი.

მოკვეთილიყოს¹¹⁰, სხვაქვეყნის

ცა-ღრუბლისშანამზირები¹¹¹.

წადით, უმტვრიეთშავზნელსა

სახლისა, ციხისკარები.

¹⁰⁸დაჯარდით - მოგროვდით, შეიკრიბეთ.

¹⁰⁹დირე - გათლილი ხე, დადებული კარის ფუძედ.

¹¹⁰მოკვეთილ იყოს - მოიკვეთოს. თემისა და სოფლისაგან მოკვეთილი ადამიანი იძულებული იყო, დაეტოვებინა მამაპაპეული მიწა-წყალი. თემისგან მოკვეთა ხდებოდა რაიმე მძიმე დანაშაულის: ჯვრის ღალატის, ჯვრიდან რამის მოპარვის, სამშობლოს ღალატის გამო.

¹¹¹შანამზირები - შემაცქერალი.

ცეცხლიმიეციოსაძნოვარს¹¹², -

ცასასწვდებოდესალები,

სათემოდგამოირეკეთ

ცხვარი, ძროხადახარები.

შატილსცოლ-შვილიუტირეთ,

გუდანს - შინშნი¹¹³დაქალები;

ჰრისხავდესჩვენებატონი,

არარისშასაბრალები.

ამ სიტყვების გაგონებაზე მინდიას ცრემლი მოადგა თვალებზე - ის მიხვდა, რომ ველარაფრით დაეხმარებოდა ალუდას და გულზე დაიკრიფა ხელები.

ხევსურებმა იარაღი აისხეს ალუდას სახლ-კარის დასაქცევად. ამ დროს ერთად დამსხდარ ხევსურებთან ბავშვებმა მიიტანეს ადამიანის მოჭრილი მარჯვენა, რომელიც ყვავს გააგდებინეს კლანჭებიდან. მინდიამ მოტანილში მუცალის ხელი ამოიციო. მინდიას თქმით, მან ხევში გადააგდო მუცალის მოჭრილი მარჯვენა, როცა ალუდამ უარი უთხრა მის აღებაზე. მტრის მარჯვენა ხევსურებმა ძაღლს გადაუგდეს საჯიჯგნად, მაგრამ ქოფაკმა პირი არ დააკარა და შესაბრალოსი ყმულილი მორთო. „ძაღლი ძაღლის ძვალს არ გატეხს“ - ასე ახსნა ხევისბერმა ბერდიამ მომხდარი.

VI

¹¹²საძნოვარი - ადგილი, სადაც ძნის ზვინები დგას.

¹¹³შინში - დეიდაშვილი. შინშნი - დეიდაშვილები.

თოვლისთოვს, ქარიბობოქრობს,
ყელეზაკრულამთებისა;
ჩამოდისხევადზოვები¹¹⁴,
ჩამონასხლეტნიკლდებისა.
გაუბამყინულსლურჯადა
უბე-კალთებიწყლებისა,
მიუნაქრია¹¹⁵ერთიან
ვიწროსავალიგზებისა.
ვისმასწყენიასიცოცხლე,
გზასისვინგაუდგებისა?
წინმიდისმგზავრი, მიჰკვალავს,
ხუთიცუკვენაჰყვებისა¹¹⁶.
შიმშილითშეწუხებული

¹¹⁴ზოვები - ზვავები.

¹¹⁵მიუნაქრია - ნამქერით აუვსია.

¹¹⁶უკვენა ჰყვებისა - უკან მიჰყვება.

მთასდმუისჯოგიმგლებისა.

“კარგსურასჰნახავთ, ხევსურნო,”

ერთიდიაციისწყრებისა.

“ავაჰმე, ჩვენოსახლ-კარო,

ქვა-ქვაზელარდგებო,

ციხეზე, ჭერხოსბოძებზე

ეხლაცოვები¹¹⁷სხდებო”.

დედაეტყოდაალუდას:

- შვილო, იარენელაო,

შენთანვერგავძლებთვერცმენა,

ვერცშენიცოლილელაო,

ბალღებიაგვიბოჟირდა¹¹⁸,

ხელ-ფეხდაგვიზრამნელაო¹¹⁹.

ვაჰმე, რაუგზოდდავდივართ,

¹¹⁷ყოვები - ყვავები.

¹¹⁸ავგიბოჟირდა - აგვიბმაურდა, აგვიწიოკდა.

¹¹⁹დაგვიზრდა ძნელაო - ძალზე მოგვეყინა.

ვაჰმე, როგორაზნელაო!

ნეტავარდასჭირდებაა

ხევსურთაშენიშველაო?!

ვისრაწყალ-ჭალავისტუმრებს,

სადრა-რადავილევიტა?¹²⁰

უბინო,უსახლკარონი

სხვაკანაცდავიწყევიტა.

ველარმიუვალთჩვენსსახლ-კარს,

გაღმაშატლისხევიტა.

თავისმიწა-წყლისგაწირვა

ძნელიყოფილამეტადა;

მამაკვდავსდავფერებივარ¹²¹,

გონიგამხდიარეტადა.

¹²⁰დავილევიტ - ამოვწყდებით.

¹²¹დავფერებივარ - დავმსგავსებივარ.

მუხლებარმამდევს, გულშია

ბნელიჩამიდგასვეტადა.

ვაჰ, მამა-პაპისსაფლავნო,

კლდენო, დამდგარნომწვეტადა!

ჯავრობითეტყვისალუდა:

- დიაცნო, ნუხართყბედადა,

მოდით, მამყევით, ვიდინოთ¹²²,

ღმერთმესგვარგუნაბედადა,

ჯვარსარაწყინოთ, თემსნუსწყევთ,

ნუგადიქცევითცეტადა!

ერთხელმაუნდაალუდას,

ერთხელმობრუნვათავისა:

“მშვიდობით, საჯიხვეებო,

¹²²ვიდინოთ - ვიაროთ.

გამახარელნოთვალისა!

მშვიდობით, ჩემოსახლ-კარო,

გულშიამშლელობრალისა!

მშვიდობით, ჩვენობატონო,

ყმათადმიმცემოძალისა!”

გაწირესმგზავრთასამუდმოდ

წყალიდამიწათავისა.

შტერადდამდგარანმთისწვერნი,

ისმისხვივილი¹²³ქარისა.

გადვიდნენ, ქედიგადავლეს,

თხრილიადარჩანსკვალისა.

ერთიმაისმაშორითა

მწარექვითინიქალისა.

¹²³ხვივილი - ხმაური.

მუშაობა ტექსტის გაგება-გააზრებაზე

- მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ეპიზოდების წაკითხვა კონკრეტული მიზნებით (მართული კითხვა);
- საკვანძო სიტყვების მონიშვნა; საკვანძო ეპიზოდების იდენტიფიცირება;
- ინტერაქცია ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგებისთვის (საყრდენი კითხვითი სიტყვები: ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ);
- კონკრეტული ეპიზოდების თხრობა საკუთარი სიტყვებით;
- მსჯელობა პერსონაჟებზე: პერსონაჟთა ქმედებების, მოტივაციის იდენტიფიცირება და დასკვნების გამოტანა (ქმედება, მოტივაცია, პორტრეტი, საცხოვრებელი გარემო, ცხოვრებისეული გამოცდილება, ავტორისეული დახასიათება, ღირებულებები, მეტყველება, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან);
- ერთი და იმავე პერსონაჟის, მოვლენის/ფაქტის მიმართ დანარჩენი პერსონაჟების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებების, შეხედულებების იდენტიფიცირება; საუბარი/მსჯელობა იმაზე, თუ რის თქმა სურს ავტორს სხვადასხვაგვარი/ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებების ჩვენებით;
- დაკვირვება მთავარი გმირის (ალუდა ქეთელაურის) სულიერი ფერისცვალების ეტაპებზე, რომელსაც ეს პერსონაჟი გაივლის.

(მაგ., პირველი ეტაპი - ალუდას სულიერ ფერისცვალებას ბიძგი მისცა მუცალის გმირულმა სიკვდილმა: ალუდამ პირველად გააცნობიერა, რომ მტერიც შეიძლება იყოს ნამდვილი ვაჟკაცი, ღირსეული ადამიანი, რომელიც პატივისცემას იმსახურებს. პირველ ეტაპზე გაცნობიერება არასრულია - გამონაკლისს ალუდა უშვებს მხოლოდ მუცალისთვის, მუცალის ძმას ის მარჯვენას მოაჭრის - ასრულებს თემისგან დაწესებულ ადათს).

- დაკვირვება ალუდასა და თემის/საზოგადოების ურთიერთობაზე: კონფლიქტის არსი, მიზეზები, მისი განვითარება და შედეგები (მსჯელობა, რა შეიცვალა/არ შეიცვალა ამ კონფლიქტის შედეგად).
- დაკვირვება მხატვრულ ხერხებზე, რომელსაც ავტორი იყენებს ნაწარმოების თემის გამოსაკვეთად, პერსონაჟ(ებ)ის სულიერი სამყაროს წარმოსაჩენად, ძირითადი სათქმელის მკითხველამდე მისატანად.

(მაგ., დაკვირვება მთხრობელისა და პერსონაჟის მეტყველებაზე: სიტყვების შერჩევა - დასაწყისში: ქურდკანტალა, რჯულძალლი, შემდეგ - მგლისფერი („ფერს არა ჰკარგავს მგლისასა“¹²⁴), ცხონებული („იმ ცხონებულსა მუცალსა“), კაი ყმა („კაი ყმის მარჯვენა არი“), და ა.შ. ამით გამოკვეთილია პერსონაჟის დამოკიდებულებების, წარმოდგენების ცვლილება; დაკვირვება სტილზე - ალუდასა და მუცალის შებრძოლება თითქმის დოკუმენტური სტილითაა გადმოცემული მკითხველზე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, მკითხველი თითქოს უშუალო შემსწრეა ამ ორთაბრძოლისა და ა.შ.

- ვარაუდების გამოთქმა და დასაბუთება: რა იქნებოდა, ხევისბერი ბერდია ან უშიშა რომ შესწრებოდნენ მუცალის სიკვდილს? (მისცემდა თუ არა მუცალის სიკვდილი ბიძგს მათ სულიერ ფერისცვალებას?) რატომ ფიქრობთ ასე?
- პირადი დამოკიდებულების წარმოჩენატექსტის, პერსონაჟების მიმართ, მათი შეფასება.
- ინტერპრეტაცია: მასწავლებლის შეთავაზებით, სტუდენტები ასახელებენ ნაწარმოებიდან ეპიზოდს/მონაკვეთს, რომელიც მათ ყველაზე ძალიან მოეწონათ/ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სტუდენტები ხსნიან, რატომ მოეწონათ ეს ადგილი/რამ და რატომ მოახდინა მათზე ძლიერი შთაბეჭდილება. მასწავლებელი ასევე შესთავაზებს სტუდენტებს, თავად წაიკითხონ დასახელებული ეპიზოდები გამომსახველობითი კითხვით.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

ტექსტზე მუშაობა სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 4, 6;
- IV შედეგი, 1, 2;
- V შედეგი, 1, 2, 3, 5, 6.

¹²⁴მგლისფერი - კარგივაჟკაცისდასახასიათებლადგამოიყენებოდაფშაურპოეზიაში.

1. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელაური“.

➤ რა ტიპის კონფლიქტია აღწერილი ამ ნაწარმოებში?

ა) პიროვნებათაშორისი;

ბ) შინაგანი;

გ) პიროვნებასა და საზოგადოებას შორის;

დ) ჯგუფთაშორისი.

➤ თქვენი აზრით, რა სახისაა ნაწარმოებში აღწერილი კონფლიქტი - კონსტრუქციული თუ დესტრუქციული? (ნათქვამი დაასაბუთეთ)

➤ თქვენი აზრით, იყო თუ არა შესაძლებელი ამ კონფლიქტის მოგვარება? (ნათქვამი დაასაბუთეთ)

2. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი“. ნაწარმოების მეექვსე თავში („გიჟია, თუ რა?“) აღწერილია ოთარაანთ ქვრივის შვილს, გიორგის, კონფლიქტი სოფელში გავლენიანი კაცის, ომარაშვილის მოჯამაგირესთან.

➤ რა ტიპისაა კონფლიქტი გიორგისა და მოჯამაგირეს შორის?

ა) პიროვნებათაშორისი;

ბ) შინაგანი;

¹²⁵სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, პასუხების დასაბუთება შესაძლებელია წერილობით ან ზეპირად.

გ) პიროვნებასა და საზოგადოებას შორის;

დ) ჯგუფთაშორისი.

- თქვენი აზრით, რა სახისაა კონფლიქტი გიორგისა და მოჯამაგირეს შორის - კონსტრუქციული თუ დესტრუქციული? (ნათქვამი დაასაბუთეთ)
- კონფლიქტის მოგვარების რომელ სტრატეგიას ურჩევდით გიორგის? (ნათქვამი დაასაბუთეთ).

3. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი“. ნაწარმოების მეცამეტე თავში („ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!“) გადმოცემულია ოთარაანთ ქვრივის შვილის, გიორგის, კონფლიქტი არჩილის მეჯინიბესთან.

- რა ტიპისაა კონფლიქტი გიორგისა და მეჯინიბეს შორის?

ა) ჯგუფთაშორისი;

ბ) შინაგანი;

გ) პიროვნებასა და საზოგადოებას შორის;

დ) პიროვნებათაშორისი.

- თქვენი აზრით, რა სახისაა კონფლიქტი გიორგისა და მეჯინიბეს შორის - კონსტრუქციული თუ დესტრუქციული? (ნათქვამი დაასაბუთეთ)
- კონფლიქტის მოგვარების რომელ სტრატეგიას ურჩევდით მეჯინიბეს? (ნათქვამი დაასაბუთეთ).

რეკომენდაციები შეფასებისათვის: ზემოთ წარმოდგენილი ქვიზი ემსახურება III, IV, V შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

იდები აქტივობებისთვის

➤ ნაწარმოები და მისი ეკრანიზებული ვერსია (დისკუსია)

მულტიმედიური რესურსი: ფრაგმენტი ფილმიდან „ვედრება“ (ხანგრძლივობა:20.05 წთ.). ფილმის რეჟისორი: თენგიზ აბულაძე, კომპოზიტორი: ნოდარ გაბუნია, 1967 წ.

კინოფრაგმენტის ჩვენების შემდეგ მიზანშეწონილია გაიმართოს დისკუსია/საუბარი პოემის ტექსტისა და ეკრანიზებული ვერსიის ურთიერთმიმართების შესახებ.

დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იცვლება ლიტერატურული ნაწარმოები, შექმნილი ერთი მედიუმის, ანუ წერილობითი ტექსტის ფარგლებში, როდესაც იგი ახალი მედიუმის, ანუ ფილმის/კინოტექსტის გამოყენებითაა წარმოდგენილი, კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ განვაკითხოთ სტუდენტების კრიტიკული აზროვნების უნარი, გავაღრმავოთ მათი ცოდნა თხრობის ელემენტების შესახებ. დაკვირვება რეჟისორის ინტერპრეტაციაზე, ტექსტის მოწოდების ხერხებზე სტუდენტებს სტიმულს მისცემს, მიუბრუნდნენ ტექსტს და ახალი კუთხით გაიაზრონ ნაწარმოები.

დისკუსიის დროს მასწავლებელს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე:

ა) საწყისი კადრი (კედელზე მიმაგრებული მოჭრილი ხელის მტევანები).

კითხვა: **თქვენი აზრით, რის ხაზგასმა სურს ამით რეჟისორს?**

მისაღებია ყველა პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: საწყისი კადრით გამოკვეთილია/ხაზგასმულია, რომ მოქმედება ხდება დაუნდობელ, სასტიკ, შურისძიებაზე დაფუძნებულ გარემოში. ეს მაყურებელში შესაბამის განწყობას ბადებს (/ამზადებს მაყურებელს).

ბ) პერსონაჟთა მეტყველება

- კითხვა: ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლის ეპიზოდში ფილმის გმირები ხმამაღლა არ მეტყველებენ. ცალკეული ფრაზები, რომლებითაც პოემაში ალუდა და მუცალი ელაპარაკებიან ერთმანეთს, ფილმში მოწოდებულია როგორც გმირების ფიქრი, შინაგანი მეტყველება. თქვენი აზრით, რის ხაზგასმა სურს ამით რეჟისორს?

მისაღებია ყველა პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: მინიშნებაა იმაზე, რომ მთავარია გმირების შინაგანი სამყარო; ის, რაც მათ სულში ხდება.

- კითხვა: ალუდასა და თემის წევრების ურთიერთობის (მათ შორის, დიალოგების) ეპიზოდებში ხშირად ფილმში კადრისმილმა ხმაა გამოყენებული - პერსონაჟების ფრაზებს წარმოთქვამს კადრისმილმა ხმა. ისაუბრეთ, რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს მაყურებელმა ამის საფუძველზე? (/თქვენი აზრით, რის ხაზგასმა სურს ამით რეჟისორს?).

მისაღებია ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

ესაა საზოგადოება, რომელშიც არ ხდება კომუნიკაცია პრობლემურ საკითხებზე: დაუშვებელია კითხვის დასმა, პირადი პოზიციის გამოხატვა, გულახდილი საუბარი, დიალოგი. მსმენელების კუმტი, გაყინული სახეები გამოკვეთს, რომ ნათქვამი სიტყვა ვერ აღწევს მიზანს, ვერ პოვებს გაგებას.

კადრისმილმა ხმის გამოყენების მაგალითები:

- ალუდას შატილში დაბრუნება: „მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ...“ (ალუდასა და თანასოფლელების საუბრის სცენა), მსხვილი პლანით ნაჩვენებია თემის წევრთა სახეები კუმტი გამომეტყველებით. ყველა გახევებული დგას და დუმს;
- ხატობა: „გაურჯულებულს არჯულებ...“ (ხვეისბერის სიტყვები) - არ ჩანს, ვინ ლაპარაკობს, კადრში მსხვილადაა ალუდას სახე. ჯერ ერთი ხმა წარმოთქვამს ხვეისბერის სიტყვებს, შემდეგ ხვეისბერის ნათქვამის ბოლო ნაწილს („გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ...“) იმეორებს მრავალი ხმა (იმის ნიშნად, რომ ესაა საერთო აზრი);

- „ზღვენსა ნუ შემომსუბუქებ“ (აღუდას სიტყვები ხევისბერის მიმართ);
- „გაგონილაა, ხევსურნო“ (ხევისბერის სიტყვები);
- „ჰრისხავდეს ჩვენი ბატონი“ (აქ მრავალი ხმა წარმოთქვამს ერთად იმის ნიშნად, რომ ეს საერთო აზრია).

აღნიშნულ შემთხვევებში კადრსმიღმა ხმის არსებობას განაპირობებს შემდეგი: დიალოგის დროს ნაჩვენებია მოლაპარაკის ხედვის კუთხე, ანუ კადრში მოჩანს მსმენელი/მსმენელები და არა მოლაპარაკე. მაგ., აღუდა ელაპარაკება ბერდიას. კადრში მოჩანს ბერდია (ანუ ადამიანი, ვისაც მიმართავს აღუდა) და არა აღუდა. პოემის ტექსტისა და კინოტექსტის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კონკრეტული დეტალის დასაზუსტებლად სტუდენტებმა უნდა აღიდგინონ (გონებაში „გააცოცხლონ“) წაკითხული ან, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ ნაწარმოებს.

გ) უძრაობა (სტატიკურობა)

კითხვა: ფილმში თემის წევრები თითქმის არ მოძრაობენ: გახევებულნი დგანან ან სხედან კუშტი გამომეტყველებით. თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ამით რეჟისორი?

მისაღებია ყველა პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: ესაა მითითება იმაზე, რომ ამ საზოგადოებაში არაფერი მოძრაობს, ახალი არაფერი ხდება, არ იცვლება. დრო თითქოს გაყინულია.

დ) პოემის სიუჟეტში შეტანილი ცვლილებების იდენტიფიცირება.

- კითხვა: რა ცვლილებებია ნაწარმოების ეკრანიზებულ ვერსიაში? თქვენი აზრით, რა არის მათი მიზეზი?
- კითხვა: ერთ-ერთი პერსონაჟი - მინდია საერთოდ არ ჩანს ფრაგმენტში. თქვენი აზრით, რა ეფექტს აღწევს ამით რეჟისორი?

მისაღებია ყველა პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი - ამით კიდევ უფრო მძაფრდება დაპირისპირება ალუდასა და თემს შორის (მინდია არის თემის ერთადერთი წევრი, რომელსაც ესმის ალუდასი, თანაუგრძნობს მას, ცდილობს ალუდას გამართლებას).

ე) დაკვირვება ფილმის სტილისტიკაზე

ალუდას სიზმრის, ასევე ხატობის ეპიზოდი გადმოცემულია დოკუმენტური კინოს სტილში. დატირების სცენაში შავისა და თეთრის მკვეთრი კონტრასტია - სჭარბობს სიბნელე (განწყობის შესაქმნელად).

ვ) მუსიკა

კითხვა: ფილმში გამოყენებულია მკვეთრად განსხვავებული (/კონტრასტული) მუსიკა: ფილმის ძირითად ნაწილში ჟღერს დაძაბული, შიშის მომგვრელი მუსიკა, რომელიც შფოთიან განწყობას ბადებს, ხოლო ფილმის დასასრულს (ალუდას წასვლა შატილიდან) ისმის ნაზი, სევდიანი მუსიკა. თქვენი აზრით,რა არის ასეთი მუსიკის დანიშნულება?

მისაღებია ყველა პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: ფილმის ძირითად ნაწილში გამოყენებული მუსიკა შესაბამის ფონს და განწყობას ქმნის სასტიკი და ძალადობრივი გარემოსთვის, სადაც მოქმედება ხდება, ასევე ალუდასა და თემს შორის მომხდარი მძაფრი დაპირისპირებისთვის.

ფინალურ ნაწილში ალუდა იძულებით ტოვებს შატილს. განსხვავებული მუსიკა გამოკვეთს, რომ ყველაფერი დასრულდა (დაპირისპირება, სისასტიკე, ძალადობა, შურისძიება); ასევე გვაგრძნობინებს ალუდას განწყობას - ის სევდითაა სავსე იმის გამო, რომ სამუდამოდ ტოვებს მშობლიურ კუთხეს.

ამ განსხვავებას გამოკვეთს ასევე თეთრი ფერის სიჭარბე, რაც მიიღწევა დათოვლილი გარემოს ჩვენებით. თუკი ფილმის ძირითად ნაწილში ჭარბად იყო გამოყენებული შავი ფერი, ამ ნაწილში, პირიქით - თეთრი აღემატება შავს. ტრადიციულად, თეთრი ფერი სიწმინდის და უცოდველობის ფერია. ამდენად, ეს შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ ალუდა უდანაშაულოა (/უდანაშაულო მსხვერპლია).

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6;
- V შედეგი, 1, 2, 3, 5.

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

კომპლექსური დავალებები „აღუდა ქეთელაურთან“ დაკავშირებით

- **დისკუსია ნაწარმოების საფუძველზე** - მონაწილეთა ერთი ჯგუფი იცავს აღუდას პოზიციას, მეორე - თემის პოზიციას.
- **პერსონაჟის სკამი** (აღუდას ან: მინდიას ან: ხვეისბერის როლების მორგებით)
- **წერითი ნამუშევრები** (შეირჩევა სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად)
 - ნაწარმოების მოკლე შინაარსი;
 - აღუდას დახასიათება;
 - კონფლიქტური სიტუაცია: ახალი ტრადიციულის წინააღმდეგ („აღუდა ქეთელაურის“ მიხედვით)

რეკომენდაციები შეფასებისათვის

დავალეების შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგები, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8
- V შედეგი, 1, 2, 3.
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6
- მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

ფუნქციური კომუნიკაცია

იდეები აქტივობებისთვის

აქტივობა # 1. ქვიზი

წინადადების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში აზრებითაა აღნიშნული. ერთი აზრი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

წაიკითხეთ სავარაუდო პასუხები და აირჩიეთ ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანამიმდევრულად ჩასმა გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

1. ----- გსურს, იყო ყველასგან გამორჩეული, ----- ეს სამოსი ნამდვილად შენთვისაა. ჩვენი ფირმის პროდუქცია ----- სხვებისგან, ----- ჩვენთვის მთავარია ადამიანის ინდივიდუალობა.

ა) თუ - რადგან - აშკარად განსხვავდება - მაშინ;

ბ) თუ -მაშინ - აშკარად განსხვავდება - რათა;

გ) რადგან - მაშინ - აშკარად განსხვავდება - როცა;

დ) თუ - მაშინ - აშკარად განსხვავდება - რადგან.

2. -----, ბორჯომის ხეობაში ხანძრის კერები არსებობს, ----- ეს კერები ისეთი მასშტაბური აღარაა. ----- სათანადო დახმარება გვექნება, ----- ხანძარს უფრო ადვილად ჩავაქრობთ.

ა) თუმცა - მაგრამ - თუკი - რადგან;

ბ) მართალია - მაგრამ - როცა - რამდენადაც - მაშინ;

გ) მართალია - მაგრამ - თუკი - მაშინ;

დ) მიუხედავად იმისა, რომ - მაგრამ - თუკი - მაშინ.

3. -----, დღეს დილით იწვიმოს, ----- დღის მეორე ნახევრიდან მზიანი ამინდია მოსალოდნელი. -----, სინოპტიკოსები ვარაუდობენ, ----- საღამოს ჰაერის ტემპერატურა 2 გრადუსით დაეცემა.

ა) შესაძლოა - მაგრამ - მიუხედავად ამისა - რომ;

ბ) შესაძლოა - თუკი - მაშინ - რომ;

გ) შესაძლოა - რადგან - აქედან გამომდინარე - რომ;

დ) შესაძლოა - ამის შესაბამისად - რადგან - ამიტომ.

4. კონფლიქტები არავის გვიყვარს ----- უსიამოვნო განცდებსა და ემოციებს ვუკავშირებთ. მაგრამ, -----, არც ის უნდა დავივიწყოთ, ----- კონფლიქტის ----- შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების წინსვლა.

ა) იმისთვის, რომ მეორე მხრივ - რომ - დახმარებით;

ბ) იმის გამო, რომ - მეორე მხრივ - რომ - გარეშე;

გ) იმის გამო, რათა - ერთი მხრივ - რომ - გარეშე;

დ) იმის გამო, რომ - მეორე მხრივ - როცა - გამო.

5. -----, სამართალდამცავებმა დამნაშავე ჯერჯერობით ვერ გამოავლინეს, -----ძიება გრძელდება. ამ საქმის -----
- დიდი ინტერესის ----- ჩვენი არხის ჟურნალისტები შეეცდებიან, ----- საზოგადოებას ყოველდღიურად გააცნონ
გამომძიების დეტალები.

ა) მართალია - მაგრამ - მიმართ - გამო - რომ;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ - თუმცა - მიმართ - მიუხედავად - რომ;

გ) მართალია - მაგრამ - გამო - წყალობით - რომ;

დ) მართალია - ოღონდ - მიმართ - გამოყენებით - რათა.

6. ----- მაინცდამაინც სასიამოვნო არაა სიმართლის მოსმენა, ----- ტყუილში ცხოვრებაზე ----- არაფერია. -
-----სიმართლის დამალვას შეეცდებით, საბოლოოდ გაცილებით დიდ ზიანს მიიღებთ, ----- საკუთარი თავის
მოტყუება შეუძლებელია.

ა) შეიძლება - ოღონდ უარესი - თუკი - რათა;

ბ) შეიძლება - მაგრამ - უარესი - თუკი - რადგან;

გ) თუკი - მაშინ - უარესი - თუკი - რადგან;

დ) შეიძლება - მაგრამ - უკეთესი - თუკი - რათა.

აქტივობა # 2. კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება კონფლიქტის გარეშე

აქტივობის შესახებ აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს ზეპირმეტყველებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

აქტივობის მიზნები

- ენობრივი უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარების განვითარება;
- პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება.

აქტივობის რესურსები: ადამიანური

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილებში

აქტივობის აღწერა მასწავლებლის სტუდენტებს შესთავაზებს სიმულაციურ თამაშს: „კონფლიქტური სიტუაცია სამსახურში“.

სცენარი: პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს აქვს სამუშაო კონტრაქტი, მაგრამ უფროსი უკმაყოფილოა მისი მუშაობით. უფროსი სტუდენტის სამსახურიდან გაშვებას აპირებს, მაგრამ არ უნდა, რომ ეს სტუდენტის პირად საქმეში დაფიქსირდეს - ამით ახალგაზრდა კაცს შეიძლება ხელი შეემალოს სხვა სამსახურის მოძებნაში, პროფესიულ საქმიანობაში. უფროსი სტუდენტს კაბინეტში იბარებს და სთავაზობს, თავისი ნებით დაწეროს განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. სტუდენტი არ იზიარებს უფროსის შეფასებას (თვლის, რომ საკმაოდ კარგად მუშაობდა) და ცდილობს, შეინარჩუნოს სამსახური.

შეირჩევა ორი მოხალისე. მასწავლებელი მათ შესთავაზებს, მოსაუბრის დასარწმუნებლად გამოიყენონ არგუმენტები ლოგიკის, სარწმუნოებისა და ემოციების სფეროდან (გაიხსენონ დარწმუნების სტრატეგიები).

საუბრისას მონაწილეებმა უნდა გამოიყენონ შემდეგი კონსტრუქციები და ფრაზები (მასწავლებელი მათ დაფაზე დაწერს):

- „თუ/თუკი... მაშინ“,
- „შესაძლოა...“,
- „გეთანხმებით, მაგრამ...“,
- „მიუხედავად ამისა...“;
- „შეიძლება, მაგრამ...“; „მართალია, თუმცა...“
- „მართალია, მაგრამ...“.

ნიმუში. არგუმენტები

უფროსი	სტუდენტი
	<ul style="list-style-type: none"> • ძალიან შორის ცხოვრობდა, ახლა

<p>სტუდენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხშირად აგვიანებდა სამუშაოზე ➤ დროზე ადრე მიდიოდა; ➤ საქმის ნაწილს უხარისხოდ ასრულებდა; ➤ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, კარგად იცნობს ადამიანებს და თვლის, რომ სტუდენტი ვერ შეეგუება ამ ტიპის სამსახურს; ➤ თუკი უფროსთან დაძაბული ურთიერთობა ექნება, სტუდენტი სამსახურში კომფორტულად ვერ იგრძნობს თავს; ➤ სხვ. 	<p>სამსახურთან ახლოს გადმოვიდა;</p> <ul style="list-style-type: none"> • არ აქვს მოტივაცია, რადგან ძალიან მცირე ხელფასს უხდიან; • ზოგჯერ ასრულებდა სამუშაოს, რომელსაც მისი კონტრაქტი არ ითვალისწინებდა; • არავის დაუწუნებია მისი შესრულებული სამუშაო; • აპირებს ცოლის შერთვას და სამსახურის დაკარგვით საცოლესაც დაკარგავს; • სხვ.
---	--

ურთიერთშეფასება: დანარჩენი სტუდენტები უსმენენ მონაწილეებს და აფასებენ შემდეგი კრიტერიუმებით:

- არგუმენტების გამოყენება სამივე სფეროდან (ლოგიკა, სარწმუნოობა, ემოცია),
- შეთავაზებული ენობრივი კონსტრუქციებისა და ფრაზების ადეკვატურად გამოყენება;
- ხმის ტონის კონტროლი, სხეულის ენის ადეკვატურად გამოყენება;
- სასურველი შედეგის მიღწევა.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგები, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

იდეები დამატებითი აქტივობებისთვის:

მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს სამუშაო ადგილზე წარმოქმნილი სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციის გათამაშება. ეს შეიძლება იყოს პიროვნებათაშორისი კონფლიქტი, *ან* პიროვნებასა და ჯგუფს შორის, *ან* ჯგუფებს შორის. სტუდენტებმა უნდა მოირგონ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარის როლი და გაითამაშონ სიტუაცია შეთავაზებული ენობრივი საშუალებების გამოყენებით. სიტუაციური თამაშების მიზანი უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარების გზის ჩვენება.

აქტივობა # 3. როგორ ავირიდოთ კონფლიქტი?

აქტივობის შესახებ აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს ზეპირმეტყველებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

აქტივობის მიზნები

- ენობრივი უნარების განვითარება;

- არგუმენტირების უნარების განვითარება;
- პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება.

აქტივობის რესურსები: ადამიანური

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილებში

აქტივობის აღწერა

მასწავლებელი სტუდენტებს შესთავაზებს, გაითამაშონ სიმულაციური სიტუაცია, რომელიც სტუდენტთა ყოველდღიური ცხოვრებიდანაა აღებული.

სცენარი. სტუდენტმა შეასრულა შემაჯამებელი დავალება - მონაწილეობდა პროექტში „სოციოლოგიური გამოკითხვა“, მაგრამ ჩათვლა ვერ მიიღო. ის არ ეთანხმება ამ შეფასებას, ხვდება მასწავლებელს და ცდილობს დაარწმუნოს, რომ მისი ნამუშევარი მეტ ქულას იმსახურებს. მასწავლებელი მაღალი აზრისაა სტუდენტის შესაძლებლობებზე, მაგრამ თვლის, რომ მან არასაკმარისად იმუშავა პროექტზე და სამართლიანად დაიმსახურა უარყოფითი შეფასება.

მასწავლებელი დაყოფს სტუდენტებს წყვილებად. ერთი მეწყვილე მოირგებს მასწავლებლის როლს, მეორე - სტუდენტის როლს. სტუდენტებმა ჯერ უნდა შეადგინონ დიალოგი, შემდეგ უნდა გაითამაშონ შემდეგი ფრაზების გამოყენებით (მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს მათ).

- „თუ/თუკი... მაშინ“,
- „შესაძლოა...“,
- „დაგეთანხმებით, მაგრამ...“,
- „მიუხედავად ამისა...“;
- „შეიძლება, მაგრამ...“; „მართალია, თუმცა...“

- „მართალია, მაგრამ...“;
- „სამწუხაროდ, ვერ დაგეთანხმები/დაგეთანხმებით, რადგან...“;
- „ბოდიში, მაგრამ ვერ მიგიხვდი/მიგიხვდით“;
- „მეორე მხრივ“;
- „დიახ, მაგრამ...“;
- „თუ შეიძლება, გაითვალისწინე/გაითვალისწინეთ, რომ...“.

დიალოგში მეწყვილეებმა უნდა გამოიყენონ, სულ მცირე, 4 მათგანი.

ურთიერთშეფასება: სტუდენტები და მასწავლებელი გამომსვლელ მეწყვილეებს შეაფასებენ შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

- სახის გამომეტყველება - მშვიდი, გაბრაზებული,
- მხედველობითი კონტაქტი - ინარჩუნებდა მხედველობით კონტაქტს, არ ინარჩუნებდა მხედველობით კონტაქტს;
- ხმის ტონი - კეთილგანწყობილი, საქმიანი, აგდებული, დამცინავი, აგრესიული, უხეში, მომთხოვნი;
- ხმის ძალა - ძალიან ხმამაღალი, ძალიან ხმადაბალი, ნორმალური;
- არგუმენტაცია - ეყრდნობოდა ფაქტებს, (რომელ ეტაპზე რა ქნა) არ მოჰყავდა შედარებები სხვა სტუდენტებთან (იმან რომ იგივე გააკეთა?); არ გადადის სხვა თემაზე (ფოკუსირებულია მხოლოდ საუბრის თემაზე);
- ენა - არჩევს სიტყვებს, სტილს; მეტყველებს თავაზიანად; ადეკვატურად იყენებს შეთავაზებულ სიტყვებს, ფრაზებს.

მეთოდური მითითება: იმისათვის, რომ სტუდენტებს გაუადვილდეთ დიალოგის შედგენა, მასწავლებელი მათ შეახსენებს სოციოლოგიური გამოკითხვის ფარგლებში ჩასატარებელ სამუშაოებს¹²⁶. ესენია: *კითხვარის მომზადება*; *გამოკითხვის ჩატარება მომზადებული კითხვარის საფუძველზე (სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად)*; *გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შეჯამება (სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად)*; *ერთობლივი დასკვნის დაწერა (სტუდენტები მუშაობენ ჯგუფურად)*; *კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია. მათი გახსენება მეტ მასალას მისცემს სტუდენტებს სასაუბროდ - მათ შეუძლიათ უფრო კონკრეტულად ისაუბრონ იმაზე, თუ რა წვლილი*

¹²⁶დეტალურად ამ აქტივობის შესახებ იხ. გზამკვლევის III თავში, თემა: „დამიანი საზოგადოებაში“

შეიტანეს პროექტის განხორციელებაში (მაგ., მართალია, პრეზენტაციის დროს არ ვიაქტიურე, მაგრამ გამოვკითხე ძალიან ბევრი ადამიანი და ა.შ.).

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგები, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8

აქტივობა # 4.

ქვიზი

მეთოდური კომენტარი: სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, ქვიზში მოყვანილი სიტუაციების მეორე შეკითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია წერილობით ან ზეპირად.

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი სიტუაციები და უპასუხეთ კითხვებს.

სიტუაცია 1.

ახალგაზრდა ვაჟს მოსწონს მეგობრის შეყვარებული და ვერ გადაუწყვეტია, რა არჩევანი გააკეთოს - გაამხილოს თავისი გრძნობა თუ გულში ჩაიკლას (სიყვარულს უერთგულოს თუ მეგობრობას).

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

ა) პიროვნებათაშორისი;

ბ) შინაგანი:

გ) პიროვნებასა და ჯგუფს შორის;

დ) ჯგუფთაშორისი.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით ახალგაზრდა ვაჟს? რატომ?

სიტუაცია 2.

ბიზნესის განვითარებისთვის საწარმოს აღმასრულებელ დირექტორს აუცილებლად მიაჩნია ახალი აპარატურის შეძენა და სურს, რომ ამაში დაიხარჯოს შემოსავლის ნაწილი. დამფუძნებელთა საბჭოს წევრები კი ფიქრობენ, რომ ეს თანხა პროდუქციის რეკლამირებას უნდა მოხმარდეს.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

ა) პიროვნებათაშორისი;

ბ) შინაგანი;

გ) პიროვნებასა და ჯგუფს შორის;

დ) ჯგუფთაშორისი.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით საწარმოს ხელმძღვანელებს? რატომ?

სიტუაცია 3.

ორი მეგობარი კინოში ერთობლივად წასვლას გეგმავს. ერთს დეტექტივის ნახვა სურს, მეორეს - სათავგადასავლო ფილმისა. თითოეული მათგანი ცდილობს, დაარწმუნოს მეორე მხარე იმაში, რომ მისი არჩევანია საუკეთესო.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

- ა) პიროვნებასა და ჯგუფს შორის;
- ბ) ჯგუფთაშორისი;
- გ) შინაგანი;
- დ) პიროვნებათაშორისი.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით მეგობრებს? რატომ?

სიტუაცია 4.

ცოლ-ქმარმა ლატარიაშისაკმაოდ დიდი თანხა მოიგო. ცოლს უნდა, რომ მოგებული თანხა ბანკში შეინახონ და მომავალში შვილების განათლებაზე დახარჯონ, ხოლო ქმარი ფიქრობს, რომ ამაზე ზრუნვა ნაადრევია, რადგან შვილები ჯერ კიდევ პატარები არიან. მისი აზრით, სჯობს გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და ამ „ციდან ჩამოვარდნილი“ თანხით დაუვიწყარი არდადეგები მოიწყონ: მთელი ოჯახით წავიდნენ დასასვენებლად რომელიმე ეგზოტიკურ ადგილზე.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

- ა) შინაგანი;
- ბ) ჯგუფთაშორისი;
- გ) პიროვნებათაშორისი;
- დ) პიროვნებასა და ჯგუფს შორის.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით ცოლ-ქმარს? რატომ?

სიტუაცია 5.

პატარა ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად სასწრაფოდაა საჭირო ძვირადღირებული წამალი, მაგრამ ოჯახს საკმარისი თანხა არ აქვს. ბავშვის მამა სააფთიაქო საწყობში მუშაობს. მას შეუძლია საჭირო წამლის ისე აღება, რომ ექვს ვერავინ აიღებს, მაგრამ ქურდობა მისთვის მიუღებელია.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

ა) შინაგანი;

ბ) ჯგუფთაშორისი;

გ) პიროვნებათაშორისი;

დ) პიროვნებასა და ჯგუფს შორის.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით ბავშვის მამას? რატომ?

სიტუაცია 6.

ბიზნეს-კორპორაციის გაყიდვების დეპარტამენტის თანამშრომლები ჩივიან, რომ იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები ნელა მუშაობენ - მეტისმეტად ბევრ დროს ანდომებენ კონტრაქტების შემუშავებას, რის გამოც ფერხდება პროდუქციის გაყიდვა და კლებულობს კორპორაციის თანამშრომლების შემოსავლები. იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები კი თვლიან, რომ კონტრაქტების საგულდაგულოდ შემოწმების გარეშე ბიზნეს-კორპორაცია შეიძლება საერთოდ გაკოტრდეს.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

ა) შინაგანი;

ბ) პიროვნებასა და ჯგუფს შორის;

გ) ჯგუფთაშორისი;

დ) პიროვნებათაშორისი.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით დეპარტამენტების თანამშრომლებს? რატომ?

სიტუაცია 7.

ფეხბურთის გუნდში ახალი მწვრთნელი დაინიშნა. იგი ფიქრობს, რომ უკეთესი შედეგების მისაღწევად გუნდმა მთლიანად უნდა შეცვალოს თამაშის ტაქტიკა, რისთვისაც გაძლიერებული ვარჯიშია საჭირო. ფეხბურთელები მზად არ არიან სიახლეებისთვის, არ უნდათ სიარული დამატებით ვარჯიშებზე.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

ა) ჯგუფთაშორისი;

ბ) პიროვნებასა და ჯგუფს შორის;

გ) შინაგანი;

დ) პიროვნებათაშორისი.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით გუნდის მწვრთნელს? რატომ?

სიტუაცია 8.

სასწავლებლის დირექცია ახალი სასადილოს აშენებას გეგმავს. მასწავლებლების აზრით, ამის ნაცვლად უმჯობესი იქნება არსებული ბუფეტის გარემონტება, დარჩენილი თანხით კი ახალი აღჭურვილობისა და ავეჯის შეძენა.

1) მიუთითეთ, რა ტიპის კონფლიქტია ამ სიტუაციაში.

ა) პიროვნებასა და ჯგუფს შორის;

ბ) ჯგუფთაშორისი;

გ) შინაგანი;

დ) პიროვნებათაშორისი.

2) კონფლიქტის მოგვარების რა სტრატეგიას ურჩევდით სასწავლებლის თანამშრომლებს? რატომ?

აქტივობა # 5: ახსნა-განმარტებითი ბარათი

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს წერიტი მეტყველების უნარების განვითარებაში.

აქტივობის მიზნები

- ენობრივი უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარების განვითარება;
- ფუნქციური წერის უნარების განვითარება.

აქტივობის რესურსები: ადამიანური

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილებში

აქტივობის აღწერა: სასწავლებლის სტუდენტებს გააცნობს კონფლიქტური სიტუაციის სცენარს.

სცენარი: პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი შეთავსებით მუშაობს საწარმოში. ბრიგადირი მას ავალდებულებს დამატებით მუშაობას საღამოს საათებში, რის გამოც სტუდენტს უწევს ლექციების გაცდენა. დაგროვილი გაცდენების გამო მას სერიოზული პრობლემა შეექმნა პროფესიულ სასწავლებელში.

მასწავლებელი სტუდენტებს დააწყვილებს; შესთავაზებს, მოირგონ სტუდენტის როლი და დაწერონ ახსნა-განმარტებითი ბარათი პროფესიული სასწავლებლის დირექტორის სახელზე.

სამუშაოს დასრულების შემდეგ წყვილები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი ამყარებს მათთან უკუკავშირს კომენტარებით, შენიშვნებით.

მეთოდური მითითება: ახსნა-განმარტებითი ბარათი იწერება ხელმძღვანელის/უფროსის მოთხოვნით. მასში განმარტებულია უკვე მომხდარი ფაქტი და ახსნილია მისი გამომწვევი მიზეზები. მაგალითად, ახსნა-განმარტებითი ბარათი იწერება სამსახურში მომხდარი კონფლიქტის, დაგვიანების, გაცდენის, შესასრულებელ პროექტში გაწერილი ვადების გადაცდენის გამო.

ახსნა-განმარტებითი ბარათი შედგება სამი ნაწილისგან/ბლოკისგან. 1. პირველ ბლოკში მოცემულია ინფორმაცია ადრესატსა და ადრესანტის შესახებ. ფურცლის დასაწყისში მარჯვენა მხარეს ჯერ იწერება იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, ვისთვისაც განკუთვნილია დოკუმენტი. ორი ინტერვალის ქვემოთ, ფურცლის შუაში იწერება სათაური- ახსნა-განმარტებითი ბარათი (მუქი შრიფტით). 2. ძირითად ბლოკში დასახელებულია მომხდარი ფაქტის გამომწვევი, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. დოკუმენტის ენა უნდა იყოს მარტივი, კონკრეტული, კორექტული. მთავარი არგუმენტი იყოს მკაფიოდ გაწერილი. ახსნა-განმარტებითი ბარათი შეგიძლია დაიწყოთ შემდეგი ფრაზით: „მოგახსენებთ, რომ...“, „მინდა გაცნობოთ, რომ...“. 3. მესამე ბლოკში მოცემულია ავტორის ხელმოწერა და თარიღი. აუცილებელია დოკუმენტის ხელმოწერით დადასტურება.

შეფასების სქემა განმავითარებელი შეფასებისათვის

შეფასების სქემა	
კრიტერიუმები	კი, ნაწილობრივად, არა +კომენტარი
ორგანიზება, სტრუქტურა	
ტექსტი შედგება სამი ბლოკისგან/ნაწილისაგან.	
თითოეულ ბლოკში/ნაწილში მოწოდებულია	

ადეკვატური ინფორმაცია.	
შინაარსი	
გადმოცემულია კონფლიქტის არსი.	
მოყვანილია კონკრეტული დეტალები;	
დასახელებულია კონფლიქტური სიტუაციის კონკრეტული მიზეზი/მიზეზები.	
მოყვანილია არგუმენტები/ქცევის მოტივაცია	
დაცულია აზრობრივი თანამიმდევრობა, ლოგიკური შესაბამისობა	
ენა, მართლწერა	
შერჩეულია სათანადო ენობრივი ფორმულა დასაწყისისთვის, გამოყენებულია ადეკვატური სტილი, ლექსიკა	
დაცულია ენობრივ-გრამატიკული ნორმები	
დაცულია მართლწერის ნორმები, პუნქტუაციის წესები	

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგები, 1, 2;
- I შედეგი, 1, 2, 3;
- V I შედეგი, 1, 2, 3, 5, 7;

აქტივობა # 6. მოხსენებითი ბარათი

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს წერიტი მეტყველების უნარების განვითარებაში.

აქტივობის მიზნები

- ენობრივი უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარების განვითარება;
- ფუნქციური წერის უნარების განვითარება.

აქტივობის რესურსები: ადამიანური

აქტივობის ორგანიზების ფორმა: წყვილებში

აქტივობის აღწერამასწავლებლის სტუდენტებს გააცნობს კონფლიქტური სიტუაციის სცენარს (იგივე სცენარი გამოყენებულია აქტივობაში # 5).

სცენარი: პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი შეთავსებით მუშაობს საწარმოში. ბრიგადირი მას ავალდებულებს დამატებით მუშაობას სადამოს საათებში, რის გამოც სტუდენტს უწევს ლექციების გაცდენა. დაგროვილი გაცდენების გამო მას სერიოზული პრობლემა შეექმნა პროფესიულ სასწავლებელში.

მასწავლებელი სტუდენტებს დააწყვილებს; შესთავაზებს, მოირგონ სტუდენტის როლი და დაწერონ მოხსენებითი ბარათი საწარმოს დირექტორის სახელზე.

სამუშაოს დასრულების შემდეგ წყვილები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი ამყარებს მათთან უკუკავშირს კომენტარებით, შენიშვნებით.

მეთოდური მითითება: მეთოდური მითითება: მოხსენებითი ბარათი იწერება ავტორის სურვილითა და გადაწყვეტილებით. ამ დოკუმენტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი ავტორი. ერთზე მეტი ავტორის შემთხვევაში, ბარათს ხელს ყველა მათგანი აწერს. მოხსენებითი ბარათის მიზანია, გააცნოს ადრესატს ავტორის/ავტორების პოზიცია, შეხედულება, გადაწყვეტილება და ა.შ. ამა თუ იმ სამსახურებრივ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით.

მოხსენებითი ბარათი ძალიან ჰგავს ახსნა-განმარტებით ბარათს თავისი სტრუქტურითა და შინაარსით, მაგრამ მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება: მოხსენებითი ბარათი იწერება ავტორის ინიციატივით და მიზნად ისახავს წინასწარი ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო ახსნა-განმარტებითი ბარათი იწერება სხვისი (უფროსის) მოთხოვნით (დეტალურად ახსნა-განმარტებითი ბარათის თაობაზე იხ. ზემოთ, აქტივობა # 5).

მოხსენებითი ბარათი სამი ბლოკისგან (/ნაწილისგან) შედგება: 1. პირველ ბლოკში მოცემულია ინფორმაცია ადრესატისა და ადრესანტის შესახებ. ფურცლის დასაწყისში მარჯვენა მხარეს, ჯერ იწერება იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, ვისთვისაც განკუთვნილია დოკუმენტი. ორი ინტერვალის ქვემოთ თავსდება ინფორმაცია ავტორის შესახებ. ერთი ან ორი ინტერვალის ქვემოთ, ფურცლის შუაში იწერება სათაური- *მოხსენებითი ბარათი*. სასურველია, სათაური მუქი შრიფტით იყოს გაფორმებული. 2. მეორე ბლოკში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია. აქ ავტორს შეუძლია ვრცლად ისაუბროს სამუშაო ადგილზე არსებული პრობლემის შესახებ. ეს გულისხმობს, რომ ავტორმა: თანმიმდევრულად უნდა ჩამოთვალოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ლოგიკურად დაასაბუთოს გადაჭრის გზები და საშუალებები, რათა დაარწმუნოს ადრესატი მის მიერ შეთავაზებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაში. ავტორს შეუძლია ასევე აღწეროს ან შეაფასოს სიტუაცია. ამ შემთხვევაში

ინფორმაცია პრობლემის გადაჭრის შესახებ არაა სავალდებულო. 3. მესამე ბლოკში მოცემულია ავტორთა/ავტორის ხელმოწერა და თარიღი. ხელმოწერის გარეშე დოკუმენტს არ აქვს იურიდიული ძალა.

შეფასების სქემა განმავითარებელი შეფასებისთვის

შეფასების სქემა	
კრიტერიუმები	კი, ნაწილობრივად, არა +კომენტარი
ორგანიზება, სტრუქტურა	
ტექსტი შედგება სამი ბლოკისგან/ნაწილისაგან.	
თითოეულ ბლოკში/ნაწილში მოწოდებულია ადეკვატური ინფორმაცია.	
შინაარსი	
გადმოცემულია კონფლიქტური სიტუაციის არსი.	
დასახელებულია კონფლიქტური სიტუაციის მიზეზები.	
შეფასებულია სიტუაცია/პრობლემა, <u>ან</u> : დასახელებულია გადაჭრის გზები და საშუალებები (სათანადო დასაბუთებით)	
დაცულია აზრობრივი თანამიმდევრობა,	

ლოგიკური შესაბამისობა	
ენა, მართლწერა	
შერჩეულია სათანადო სტილი, ლექსიკა	
დაცულია ენობრივ-გრამატიკული ნორმები	
დაცულია მართლწერის ნორმები, პუნქტუაციის წესები	

აქტივობა # 7. როგორი მსმენელი ვარ?

აქტივობის შესახებ: ესაა ერთგვარი ტესტი, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახალისო შეჯიბრის მოსაწყობად. აქტივობა, ერთი მხრივ, დაეხმარება სტუდენტებს გამოავლინონ, რამდენად აქვთ განვითარებული აქტიური მოსმენის უნარები (/არიან თუ არა კარგი მსმენელები), მეორე მხრივ, სტიმულს მისცემს თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სტუდენტები გააცნობიერებენ, რა დადებითი შედეგები მოაქვს თანამშრომლობას (ახალი ადამიანების შემატებით სამუშაო უფრო სწრაფად დასრულდა, მუშაობა უფრო გაადვილდა, უფრო ხარისხიანია შესრულებული სამუშაო). აქტივობა ტარდება 2 ეტაპად.

აქტივობის მიზნები:

- აქტიური სმენის უნარების განვითარება

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური

რესურსები: კითხვარები, საწერი კალმები

აქტივობის აღწერა

1-ლი ეტაპი: მასწავლებელი სტუდენტებს უკითხავს მოკლე ტექსტს, შემდეგ დაურიგებს სტუდენტებს ამობეჭდილ კითხვარებს. სტუდენტებმა უნდა გაიხსენონ ტექსტში მოყვანილი ინფორმაცია და მასზე დაყრდნობით უპასუხონ კითხვებს. ამისთვის მათ ეძლევათ 4-5 წუთი.

ტექსტი:

გასულ კვირას ნიკა, დედამისი, ნიკას უფროსი ძმა და ნიკას უმცროსი და სასეირნოდ წავიდნენ ანაკლიის „აკვა-ლაზიკაში“, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა კანადურმა კომპანიამ დააპროექტა. თავისი მასშტაბებით დაატრაქციონებით ეს აკვაპარკი ერთ-ერთისა უკეთესია აღმოსავლეთ ევროპაში. მის მშენებლობაზე 200-მდე ადამიანი იყო დასაქმებული, ახლა 150 ადამიანი მუშაობს.

შევიდნენ თუ არა აკვაპარკში, მაშინვე გაწვიმდა, მაგრამ 20 წუთში მზემ გამოანათა. იქ ყოფნით ყველანი კარგად გაერთნენ, მაგრამ ბოლოს ძალიან დაიღალნენ და მოშივდათ. კაფეში ძლივს მიაგნეს თავისუფალ მაგიდას. საჭმლის შეკვეთაზე დიდხანს ფიქრობდნენ - მენიუდან ამორჩევა გაუჭირდათ. შეუკვეთეს 3 აჭარული ხაჭაპური, 1 სენდვიჩი და დიდხანს, 35 წუთი ელოდნენ მოტანას. ნიკას დამ სენდვიჩზე დასაყოლებლად „კოკა-კოლა“ მოისურვა, ნიკამ - ლიმონათი, მისმა ძმამ - ფორთოხლის წვენი, დედამ კი მინერალური წყალი ირჩია. სადილის შემდეგ ნიკა და მისი ძმა ავტოდრომის მანქანებით გაერთნენ, დამ და დედამ კი გიგანტური ბორბლის კაბინაში ჩასხდომა გადაწყვიტეს. უნდოდათ, ზემოდან გადმოეხედათ ზღვისთვის. უკვე 9 საათი სრულდებოდა, როცა დაბნელდა. ოჯახი თავის მანქანაში ჩასხდა და ბათუმის სასტუმროში დაბრუნდა. ყველა ნასიამოვნები იყო აკვაპარკში ყოფნით.

კითხვები:

1. ნიკას ძმა ნიკაზე უფროსია თუ უმცროსი? (უფროსი)
2. რა ჰქვია აკვაპარკს? (აკვა-ლაზიკა)
3. რამდენი ადამიანი შრომობდა აკვაპარკის აშენებაზე? (200)
4. ნიკას და ნიკაზე უფროსია თუ უმცროსი? (უმცროსი)
5. რომელ რეგიონშია აკვაპარკი ერთ-ერთი საუკეთესო? (აღმოსავლეთ ევროპაში)
6. რომელ დღეს წავიდა ნიკა სასეირნოდ? (გასულ კვირას)

7. რატომ დასჭირდათ დიდი დრო ნიკასა და მისი ოჯახის წევრებს საჭმლის შესარჩევად? (მენიუდან ამორჩევა გაუჭირდათ)
8. რამდენ ხანს გაგრძელდა წვიმა? (20 წუთი)
9. ვინ დალია ვაშლის წვენი? (ნიკას ძმამ)
10. რა მიირთვა ნიკას დამ სადილზე? (სენდვიჩი და კოკა-კოლა)
11. როდის დაბნელდა? (9 საათზე)
12. რატომ გადაწყვიტეს ნიკას დამ და დედამ გიგანტურ ბორბალზე დასხდომა? (უნდოდათ, ზემოდან გადმოეხედათ ზღვისთვის).
13. რამდენ ხანში მოიტანეს შეკვეთილი საჭმელი? (35 წუთში)
14. რა მიირთვა ამ დღეს ნიკას მამამ სადილზე? (არ ვიცით, მამა პარკში არ ყოფილა)
15. პარკიდან წამოსვლის მერე, სად გაემგზავრნენ ნიკა და მისი ოჯახის წევრები? (ბათუმში, ბათუმის სასტუმროში)
16. ვინ მართავდა მანქანის საჭეს? (არ ვიცით, არაფერია ამაზე ნათქვამი. შეიძლება დედა, შეიძლება სხვები. არც ერთის ასაკი არ არის მითითებული).

კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს კითხვებს, სტუდენტები რიგ-რიგობით პასუხობენ. ყველა მონიშნავს სწორ პასუხებს. პასუხის შემოწმების შედეგად გამოვლინდება ყველაზე აქტიური მსმენელი - სტუდენტი, რომელმაც ყველაზე მეტ კითხვას უპასუხა სწორად.

მეორე ეტაპი - ტექსტის აღდგენა

მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, აღადგინონ წაკითხული ტექსტი შეძლებისდაგვარად სრული სახით. ამ მიზნით მასწავლებელი სტუდენტებს თავდაპირველად დაყოფს წყვილებად. მეწყვილეები ერთმანეთის დახმარებით აღადგენენ ტექსტს. ამის შემდეგ მასწავლებელი მცირე, 3-4-კაციან ჯგუფებში გააერთიანებს სტუდენტებს. ბოლოს ტექსტის აღდგენაზე მუშაობა გაგრძელდება ყველას ერთობლივი მონაწილეობით.

სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევარს და შეადარებენ მას მოსმენილ ტექსტს. მასწავლებელი ეკითხება, რა გამოცდილება მიიღეს მუშაობის ამ ორ ეტაპზე.

შემაჯამებელი დავალებები

შემაჯამებელი დავალება # 1. პრეზენტაცია კონფლიქტებზე: სტუდენტები კონფლიქტების ტიპოლოგიის საილუსტრაციოდ მოიხმობენ მაგალითებს რეალური ცხოვრებიდან, ნაცნობი წიგნებიდან და/ან ფილმებიდან; დასაბუთებული მსჯელობით განსაზღვრავენ მათ ტიპსა და სახეობებს.

კავშირი მოდულის შედეგებთან

ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება II შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

შემაჯამებელი დავალება # 2. თხრობითი ტექსტის დაწერა (პირადი გამოცდილების საფუძველზე)

მითითება: თქვენი პირადი გამოცდილებიდან წერილობით მოგვითხრეთ კონფლიქტზე, რომელმაც დადებითი გამოცდილება დაგიტოვათ.

დააზუსტეთ:

- სად და როდის მოხდა ეს კონფლიქტი;
- ვინ იყვნენ მონაწილეები;
- რა იყო კონფლიქტის საგანი;
- როგორ განვითარდა და დასრულდა კონფლიქტი;
- რა ცხოვრებისეული გამოცდილება შეგძინათ კონფლიქტმა, რა ისწავლეთ კონფლიქტის შედეგად.

კავშირი მოდულის შედეგებთან

ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება VI შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

შემაჯამებელი დავალება # 3. არგუმენტირებული ესე: არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერ კონფლიქტს შეიძლება ჰქონდეს დადებითი მხარე. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მითითება: აზრის დასასაბუთებლად შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, ნაცნობი ნაწარმოებებიდან, კინოფილმებიდან.

• მეთოდური კომენტარები:

- თითოეულ სტუდენტს შეუძლია შეარჩიოს ის შემაჯამებელი დავალება (/დავალებები), რომელიც შეესაბამება მის ინტერესებსა და საჭიროებებს. შემაჯამებელი დავალების შერჩევა სტუდენტს შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ისე მასწავლებლის დახმარებით.
- თხზულების შესაფასებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული შეფასების სქემა (იხ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების სქემები, შეფასების სქემა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, წერთი დავალების შეფასების კრიტერიუმები, <http://www1.naec.ge/images/doc/EXAMS/kart.ena.da.lit-shefasebis-skema-2017-abit.pdf>).

კავშირი მოდულის შედეგებთან

ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება VI შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

შემაჯამებელი დავალება 4. ოფიციალური-საქმიანი ტექსტების შედგენა

ბ) დაწერეთ ახსნა-განმარტებითი ან მოხსენებითი ბარათი შემდეგი სიტუაციის გათვალისწინებით: *ფეხბურთის გუნდში ახალი მწვრთნელი დაინიშნა. იგი ფიქრობს, რომ უკეთესი შედეგების მისაღწევად გუნდმა მთლიანად უნდა შეცვალოს თამაშის ტაქტიკა, რისთვისაც გაძლიერებული ვარჯიშია საჭირო. ფეხბურთელები მზად არ არიან სიახლეებისთვის, არ უნდათ სიარული დამატებით ვარჯიშებზე.*

მოირგეთ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარის როლი და დაწერეთ მოხსენებითი ბარათი ფეხბურთის გუნდის მფლობელის მიმართ.

ა) მოხსენებითი ბარათი

შეფასების სქემა	
კრიტერიუმები	ქულები
ორგანიზება, სტრუქტურა	
ტექსტი შედგება სამი ბლოკისგან/ნაწილისაგან.	0 -0, 5-1
თითოეულ ბლოკში/ნაწილში მოწოდებულია ადეკვატური ინფორმაცია.	0 -0, 5-1
შინაარსი	
გადმოცემულია კონფლიქტური სიტუაციის არსი.	0 -0, 5-1
დასახელებულია კონფლიქტური სიტუაციის მიზეზები.	0 -0, 5-1
შეფასებულია სიტუაცია/პრობლემა, დასახელებულია გადაჭრის გზები და საშუალებები (სათანადო დასაბუთებით)	0 -0, 5-1
დაცულია აზრობრივი თანამიმდევრობა, ლოგიკური შესაბამისობა	0-0, 5-1-1, 5 - 2
ენა, მართლწერა	

შერჩეულია სათანადო სტილი, ლექსიკა	0 -0, 5-1
დაცულია ენობრივ-გრამატიკული ნორმები	0 -0, 5-1
დაცულია მართლწერის ნორმები, პუნქტუაციის წესები	0 -0, 5-1

ბ) ახსნა-განმარტებითი ბარათი

შეფასების სქემა	
კრიტერიუმები	ქულები
ორგანიზება, სტრუქტურა	
ტექსტი შედგება სამი ბლოკისგან/ნაწილისაგან.	0 -0, 5-1
თითოეულ ბლოკში/ნაწილში მოწოდებულია ადეკვატური ინფორმაცია.	0 -0, 5-1
შინაარსი	
გადმოცემულია კონფლიქტის არსი.	0 -0, 5-1
მოყვანილია კონკრეტული დეტალები;	0 -0, 5-1
დასახელებულია კონფლიქტური სიტუაციის კონკრეტული მიზეზი/მიზეზები.	0 -0, 5-1

მოყვანილია არგუმენტები/ქცევის მოტივაცია	0 -0, 5-1
დაცულია აზრობრივი თანამიმდევრობა, ლოგიკური შესაბამისობა	0-0, 5-1
ენა, მართლწერა	
შერჩეულია სათანადო ენობრივი ფორმულა დასაწყისისთვის, გამოყენებულია ადეკვატური სტილი, ლექსიკა	0 -0, 5-1
დაცულია ენობრივ-გრამატიკული ნორმები	0 -0, 5-1
დაცულია მართლწერის ნორმები, პუნქტუაციის წესები	0 -0, 5-1

შემაჯამებელი დავალება 5. წერილი ალუდას (რჩევები იმაზე, თუ როგორ მოაგვაროს კონფლიქტი).

შემაჯამებელი დავალება 6. წარმოსახვითი ინტერვიუ ხევისბერ ბერდიასთან.

შემაჯამებელი დავალება 7¹²⁷ (ტექსტი შინაგან კონფლიქტზე)

ნოდარდუმბაძისრომანში “მზიანიღამე” მოთხრობილია, როგორნახათემურმაკიბეზეწაქცეული, მომაკვდავიმეზობელიაბიბო, რომელსაცცოტახნითადრეენდოდაპატიმრობიდანგამოქცეულიმეგობრისამზავიგაუმხილა, აბიბომკითეპურისმეგობარიდააჭერინა.

აბიბოიწვაჩემწინდაკვდებოდა. კვდებოდაკაცი, რომლისსიკვდილსვნატრობდი, კაცი, რომელმაცსულშიჩამაფურთხა, მიწასთანგამასწორა, გამწირადაამკაცისსულიახლამხელშიიყო. ახლამემამსმოვკლავ, თუმცარა, თავისითაცკვდება, დავჯდები, ვუყურებ, ვიდრეარმოკვდება, იქნებწყალიუნდა, მეწყაროვარახლამისთვის, თუვარ, იცოდეს, რომდამშრალიწყაროვარ... იქნებხმაუნდაგაიგონოსკაცისდაჩემიხმალმერთისწყალობაიქნებამისთვის, - თუასეა, იცოდეს, რომმუნჯივარ... იქნებრამისთქმუნდადაყურადღებასითხოვს, იცოდეს, რომყრუვარ... იქნებსინათლეუნდადამეგარმისთვისმზე. - მაშინიცოდეს, რომარავარ, არა... იქნებჰაერიუნდა, დამეგარმისიმაცოცხლებელიჰაერი, - არა, არა, დახშულისარკმელივარმისთვის... ესმევარ, სიკვდილი, თავზერომვადგივარდამემოვკლავმას, რომთავისისიკვდილითარმოკვდესდაესუნდაიცოდესაბიბომ. მეხელებიმიკანკალებდა, პირიგამშრალიმქონდა. ათასიურომირტყამდასაფეთქლებშიდამემახდა - მოკალი, მოკალი, მოკალი, ესშენხარმისისიკვდილიდაესუნდაიცოდესმან.

- აბიბო! _ ვთქვიმეისეთიგამოცვლილიხმით, თვითონვემემშინდა.

აბიბომთვალეებიგახილადაუაზროდშემხედა.

- ესმევარ, აბიბო! - ვუთხარიმე.

- მიშველე! - მთხოვამანდათვალეებიდახუჭა.

- აი, ახლავდგები, ავდგებიდა... - დამბლათუარდამეცემოდა, არმეგონა. მაგრამავდექი, ტელეფონთანმივედი, 03

ავკრიფედასასწრაფოდახმარებაგამოვიძახე.

- წყალი! - თქვააბიბომდაგამშრალიტუჩებიგაილოკა. სამზარეულოშიგავედი, ჭიქაწყლითავავსედატუჩებთანმივუტანე.

ცოტამოსვა, ხველებააუვარდა.

¹²⁷წყარო: ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2014 წელი. დავალების შესაფასებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული დავალების შეფასების სქემა (იხ.https://edu.aris.ge/news/images/doc/EXAMS/kartuli-ena-da-literatura_exams-2014_shefasebisskema.pdf).

- ჰაერი, ჰაერი! - თქვამან. სულირომმოითქვა, ყველაფანჯარაგავაღე, ოთახშიგრილიჰაერიშემოვარდა, დამხოლოდახლავიგრძენი, რომოთახინაფტალინისადამტვრისსუნითიყოგაჟღენთილი.

- მიშველე! - თქვამანსევდააბორგდა.

- ნუგემინია, გიშველი, ახლაექიმმოვა! - ვუთხარიმედატახტზეჩამოვჯექი.

- მიშველე! - გაიმეორამან. კარზედარეკეს. გავაღე. ოთახშიერთიძალიანმსუქანიქალიდაგამხდარიკაციშემოვიდნენ...

- დროზემოგისწრიათ, ნუგემინიათ, გადარჩება; ასეთებსვარჩენთ?! - თქვაკაცმადაექთანსგადახედა.

- თქვენიჭირიმე, ექიმო! - ვთხოვემე...

კარიდავხურედაისევაბიბოსსასთუმალსმივუჯექი. ალბათ, წამალმიმოქმედადაერთისაათისშემდეგაბიბომცოტამოიხედა.

მანთავიმობრუნჩემკენდადიდხანს, ძალიანდიდხანსმიყურა.

- რომელიხარ? - მკითხაბოლოსგაუბედავად.

- თემურივარ!

- რამოხდა, რამჭირს? - არაფერი, დაიძინე, ცოტაცუდადიყავი, ახლაკარგადხარ! - აბიბომთვალეებიდახუჭა, მაგრამარდაუძინია, ეტყობა, რალაცასიგონებდადავერციგონებდა.

- თემური, შენხარ? - მკითხაბოლოს.

- მევარ, ძიააბიბო, მე! - ვუთხარიდატილოგამოვუცვალე.

- არმოგკვდები? - არა, ექიმმათქვა, არმოკვდებაო.

- არდამტოვო, ბიჭო!

- არა, ნუგემინია, დაიძინე. - აბიბომთვალეებშიშემხედა, მერე, ალბათ, მენდო, თვალეებიდახუჭადაგვერდზეგადაბრუნდა...

დილისექვსსაათამდეაბიბოსსასთუმალსვეჯექიდატილოებსვუცვლიდი...

თავიდანსიძულვილითყელამდესავსე.

ჩემდაგასაოცრად,

თანდათანდავიცალე,

გულიდამიწყნარდა,

საფეთქლებიადარმეწვოდა,

ვეჯექისასთუმალსდავუცქერდისიკვდილისაგანშეშინებულდამუშტისხელადქცეულ,

მოტეხილაბიბოს,

მერემთლიანადდავიცალესიძულვილისაგანდავიჯექისრულიადცარიელი,

არაფერიგრძნობაარმქონდაამკაცისმიმართ.

ჩემსწინიწვარაფერი, ქვა, ხე, თუკუნძი, არვიციდი, უბრალოდიწვარაღაც, რასაცვერვეგრძნობდი, მხოლოდვხედავდი.

მერემოხდასაოცარირამ... მეშემეცოდაის, ჯერროგორცუბრალოდავადმყოფი, მერე, როგორცმეზობელი, მერე,

როგორცახლომეზობელი, ყურისმეზობელი, დაბოლოს, შემეშინდაკიდევაც, როდესაცშევატყვე, რომტირილიმომინდა.

ხელიშუბლზეგადავუსვიდასასთუმალიგავუსწორე. მერემეავივსეყელამდესიბრალებითამკაცისმიმართ, იმხელასიბრალებით,

რომმისიციქერაადარშემემდლოდაფეხზეავდექი. თითქოსიგრძნო, აბიბოაწრიალდა.

- თემური, თემური.

- აქვარ. _ არდამტოვო, ბიჭო, მომკალი, დანუდამტოვებ. - იგიჩემკენგადმოტრიალდა. - არდაგტოვებ, ძიააბიბო, ნუგეშინია.

- მაპატიე, ბიჭო, თუშეგიძლია!.. - მეტილოდავადეტავზე, აბიბომჩემიხელიდაიჭირადაკონდააუწყო.

- რასშეები, ძიააბიბო! - ვუთხარიმედახელიწავართვი.

- მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! - მეხმასარვილებდი.

- მაშინმომკალი, რატომარმკლავ, ბიჭო? - მემკვლელიარავარ, ძიააბიბო! -

აბიბომიყურებდათავისიგამჭვირვალეღურჯითვალეებით, რომლებშიცდღესპირველადდავინახე, დაესრალაცერემლიიყო - აბიბოტიროდა.

დილითექიმომოვიდა, აბიბოსკვლავჩაემინადამესახლშიავედი. ტანშირადაცსაოცარსისუსტესთუსიმსუბუქესვგრძნობდი. რალაცდიდი, მძიმე, აუტანლადმძიმედავტოვეწუხელაბიბოსოთახში, თუდამრჩა, იქნებდავკარგეკიდევაცდამისნაცვლადრალაცსაოცრადსუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმადათბილმაამივსოსხეული, ესუჩვეულორალაცახლახანგივითმათრობდა.

ა) წაკითხულისგააზრება

უპასუხეთ კითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.

1. თემურისრაგრძნობასგამოხატავსსიტყვები: “კვდებოდაკაცი, რომლისსიკვდილსენატრობდი”?

ა) თანაგრძნობას.

ბ) მონანიებას.

გ) სინანულს.

დ) შურისძიებას.

2. რომელწინადადებაშიიყენებსავტორიმეტაფორას?

ა) “ახლამეამასმოვკლავ”.

ბ) “თუმცარა, თავისითაცკვდება”.

გ) “იქნებწყალიუნდა”.

დ) “წყაროვარახლამისთვის”.

3. რასგულისხმობსთემურისიტყვებში: “იქნებჰაერიუნდა, დამეგარმისიმაცოცხლებელიჰაერი, - არა, არა, დახშულისარკმელივარმისთვის”?

ა) იგიარავისარდაინდობს.

ბ) იგიარგაწირავსაბიბოს.

გ) იგიარდაინდობსაბიბოს.

დ) იგიყველამოღალატესგაანადგურებს.

4. რომელსიტყვებშიჩანს, რომთემურიწერილობს?

ა) “ესმეგარ, სიკვდილი, თავზერომვადგივარ”.

ბ) “მოვკლავმას, რომთავისისიკვდილითარმოკვდეს”.

გ) “მეხელებიმიკანკალებდა, პირიგამშრალიმქონდა”.

დ) “შენხარმისისიკვდილიდაესუნდაიცოდესმან”.

5. რომელსიტყვებშიუთითებსიმაზე, რომაბიბოსმიმართთემურისდამოკიდებულებაიცვლება?

ა) “აბიბომთვალეებიგაახილადაუაზროდშემხედა”.

ბ) “ესმეგარ, აბიბო! - ვუთხარიმე”.

გ) “მიშველე! - მთხოვამანდათვალეებიდახუჭა”.

დ) “03 ავკრიფედასასწრაფოდახმარებამოვიძახე”.

6. რაზემეტყველებსის, რომაბიბოხშირადიმეორებსსიტყვას - “მიშველე”?

ა) აბიბოარაფერსნანობს.

ბ) აბიბონანობსდანაშაულს.

გ) აბიბოსმთავრობისეშინია.

დ) აბიბოსსიკვდილისეშინია.

7. რა ფუნქციას იკისრებს ასიტყვებს: “დროზე მოგისწრიათ, ნუ გეშინიათ...”?

- ა) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ თემურისათვის აბიბოს ბედს რულებით არ ჰქონდა მნიშვნელობა.
- ბ) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ სასწრაფოს დროული გამოძახებას ულაცარიყო აუცილებელი.
- გ) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ სასწრაფოს დროული გამოძახებით თემურმა აბიბოს სიკვდილს გადაარჩინა.
- დ) გაიცნობიეროს მკითხველმა, რომ სასწრაფოს დაგვიანებით გამოძახებით თემურმა აბიბოს სიკვდილი დგამეტა.

8. რატომ ეჯდას აწოლთან მთელი დამისგანმავლობაში თემური აბიბოს?

- ა) აბიბოს არსად რომ არ დაერეკა.
- ბ) აბიბოს აუბრით რომ გაერთო.
- გ) სიკვდილის აგანრომებს ნააბიბო.
- დ) სხვას რომ არ გადაერჩინა აბიბო.

9. რომელ მოწვევით შიჩანს, რომ აბიბო აცნობიერებს თემურის კეთილშობილებას?

- ა) “ეტყობა, რა დაცას იგონებდა და ვერც იგონებდა”.
- ბ) “დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა”.
- გ) “ფეხზე ავდექი. თითქოს იგრძნო, აბიბო აწრიალდა”.
- დ) “ჩემი ხელი დაიჭირა და კოცნა დაუწყა”.

10. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მხატვრულსა მუალებას?

- ა) “ჩემს წინ იწვარა ფერი, ქვა, ხე, თუკუნძი”.
- ბ) “მერემოხდა საოცარი რამ... მეშემეცოდა ის”.
- გ) “ხელი მუბლზე გადავუსვი და სასთუმალი გავუსწორე”.
- დ) “მისი ცქერა აღარ შემეძლო და ფეხზე ავდექი”.

11. რატომ უთხრა აბიბომ თემურს: “მაშინ მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო”?

- ა) აბიბომ გააცნობიერა, რომ არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი.

ბ) აზიზომგააცნობიერა, რომ თემურის წინაშე საშინელი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

გ) აზიზომგააცნობიერა, რომ მთავრობის წინაშე საშინელი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

დ) აზიზომგააცნობიერა, რომ საკუთარი ერის წინაშე დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი.

12. რომელსიტყვებში ჩანს თემურის ქცევის ძირითადი მოტივაცია?

ა) “ჩემდაგასაოცრად... გული დამიწყნარდა”.

ბ) “ექიმმა თქვა, არ მოკვდებო”.

გ) “არ დაგტოვებ, ძია აზიზო, ნუ გეშინია”.

დ) “მემკვლელი არავარ, ძია აზიზო”.

13. რატომ გრძნობდა შინმისული თემური “საოცარს ისუსტეს თუსიმსუბუქეს”?

ა) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან დადამიანი არ დაინდო.

ბ) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან არავის არ უღალატა.

გ) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან გამცემს არაპატია.

დ) შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან ცოდვარ ჩაიდინა.

14. რის შესახებ არსა უბრუნებს ავტორი ტექსტის ამონაკვეთში?

ა) გაჭირვებულის დახმარების.

ბ) დანაშაულის პატიების.

გ) სამშობლოს სიყვარულის.

დ) შურისძიების გრძნობის.

15. რა არის ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი?

ა) ადამიანი ღალატისათვის სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

ბ) მეგობრისათვის თავგანწირვა ადამიანის მოვალეობაა.

გ) სამშობლოს ღალატის პატიება არ შეიძლება.

დ) შურისძიების გრძნობის დაძლევა ბედნიერებაა.

ბ) წერიტი დავალება

ყურადღებით გაეცანი დავალების პირობას. ნაწერი არ გასწორდება, თუნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაა დეკვატურა და აგებული, ანდა ენობრივად იმდენად გამართავია, რომა ზრის გაგებაჭირს.

წერიტი დავალებას თანახლავს ამ მითითებებზე. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე-კეგაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუმას ზემოთ აღვნიშნეთ ორი წინადადებათი ქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრინათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თურამდენად ჩანს მასში არგუმენტებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიციას აყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბაზაცებით დაწვევებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ნისნორმები.

მითითებები

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ თემურის მხატვრულის ახის შესახებ.
 - ჩამოაყალიბეთ ტექსტის მთავარისათქმელი.
 - იმსჯელეთ, რამხატვრულისა შუალელებითაა იგირეალიზებული.
- თქვენი თვალსაზრისი და დასაბუთეთ!

ინფორმაცია მასწავლებლისთვის: თხზულების შესაფასებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული შეფასების სქემა (იხ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების სქემები, ქართული ენისა და ლიტერატურის შეფასების სქემა, წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები, <http://www1.naec.ge/images/doc/EXAMS/kart.ena.da.lit-shefasebis-skema-2017-abit.pdf>).

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 4, 6;
- IV შედეგი, 1, 2;
- V შედეგი, 2, 3;
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 7

